სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/34 30.05. 2019 წელი

ზაფხულის სკოლის ორგანიზების შესახებ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №11 (17/18), 10.11.2017 დადგენილების შესაბამისად 2018/2019 სასწავლო წლის ზაფხულის სკოლის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზაფხულის სკოლის ფუნქციონირება განხორციელდეს 2019 წლის 15 ივლისიდან 26 აგვისტოს ჩათვლით და ნება დაერთოთ სტუდენტებს აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში. სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში.
2. სტუდენტთა განცხადებების მიღება (სტუდენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის ასლი) განხორციელდეს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში 2019 წლის 27 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით.
3. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

- სტუდენტთა განცხადებების და ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე სასწავლო კურსების მიხედვით დააკომპლექტონ სასწავლო ჯგუფები და უზრუნველყონ ისინი სწავლების გრაფიკით, აკადემიური პერსონალით;
- უზრუნველყონ რომ თითეული სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის შესაბამისი მოცულობით, სწავლისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით;
- ზაფხულის სკოლაში ჩატარებული სასწავლო პროცესის შედეგები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მონაცემები დროულად წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში.

4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის /პროფ.იმერ ბასილაძე/ შესაბამისმა რგოლმა პრაქტიკულად შეუწყოს ხელი ზაფხულის სკოლის სასწავლო პროცესის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებას.

5. ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გაანგარიშება მოხდეს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად.

*მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზამთრის სკოლაში სწავლის საფასური გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60 - სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5 - სკოლის მსმენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*

6. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი.

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ.იმერი ბასილაძე